ოქმი:**ო02.37220801**
თარიღი:**21/03/2022**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 17 მარტი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. მახარაძე, ბ. კილაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ტ. არუშიძე, თ. ნიკოლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.
მომხსენებელი:ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: დ.გორდელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ.
მომხსენებელი: ბ.თოიძე
თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

3. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.
მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვები, ვრცლად მასზე კომისიის წევრებს მოახსენა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, ამის შემდეგ განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე, ვრცელი მოხსენება კი გააკეთა თანამომხსნებელმა გ. მამაკაიშვილმა.

სხდომა ამის შემდეგ აქაც გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიამ მხარი დაუჭირა მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც დარგობრივად შეეხებოდა კომისიას, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე N 1 და N3 საკითხები განხილვისა და ცნობად მიღების, ხოლო N 2 საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი